ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №685673

ნომერი: AR1125445

თარიღი : 17.04.2013

გაცემის თარიღი : 14.05.2013

გაცნობის თარიღი : 14.05.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხევძმარის და ხიზაბავრის ქუჩების გადაკვეთასთან;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ბოდაველი პ/ნ 01001020215
- თიანეთი ს. დორეულები

ორგანიზაცია:

- შპს ბაკა კოდი: 200190603

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 24 იანვარს დამტკიცებული №1/617 ქალაქმშენებლობითი პირობებისა და 2010 წლის 17 თებერვლის №6/345 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 17 აპრილის №AR1125445 განცხადებით მომართა მოქ. რევაზ ბოდაველმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 24 იანვარს დამტკიცებული №1/617 ქალაქმშენებლობითი პირობებისა და 2010 წლის 17 თებერვლის №6/345 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 24 იანვარს დამტკიცდა №1/617 ქალაქმშენებლობითი პირობები ქ. ქ. თბილისში , სექტორი გლდანი, ხევძმარისა და ხიბაზავრის ქუჩების გადაკვეთაზე სავაჭრო ობიექტის ასაშენებლად. აღნიშნული პირობების საფუძველზე სამსახურის 2010 წლის 17 თებერვლის №6/345 ბრძანებით შეთანხმდა პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (სანებართვო მოწმობა №6/345-1).

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა ფოტოსურათები, საიდანაც დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არ არის ნაწარმოები არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები და დამკვეთს აღარ გააჩნია აღნიშნული საპროექტო ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველია ნებართვის მფლობელის მოთხოვნა, ხოლო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ვინაიდან, დამკვეთის მიერ არ არის ნაწარმოები არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები, მას აღარ გააჩნია აღნიშნული საპროექტო ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ძალადაკარგულად გამოაცხადოს ზემოაღნიშნულ მისამართზე ქ. თბილისის მერიის სსიპ - ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 24 იანვარს დამტკიცებული №1/617 ქალაქმშენებლობითი პირობები და ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 თებერვლის №6/345 ბრძანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების თანახმად

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქ. რევაზ ბოდაველის 2013 წლის 17 აპრილის № AR1125445 ელექტრონული განცხადების მოთხოვნა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 24 იანვარს დამტკიცებული №1/617 ქალაქმშენებლობითი პირობები და ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 თებერვლის №6/345 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.